# საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ბრძანება № 01-02/103

ქ. ბათუმი 08 ივლისი, 2021 წელი

**,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატების შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ–ს ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანების, ,,2021 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 6 ივლისის ბრძანების (MES621 0000673778), ,,2021 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის მიზნით, აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 6 ივლისის ბრძანების (MES 621 0000673780), „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის, მადონა მიქელაძის 2021 წლის 8 ივლისის N686340 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ, ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული წესის **მე-2 მუხლის სათაური და შინაარსი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადება, აპლიკანტთა შერჩევა და ჩარიცხვა

1. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, რომელშიც აისახება:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;

ბ) ჩარიცხვის პირობები და მისაღები კონტინგენტი;

გ) წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა;

დ) დოკუმენტების წარმოდგენის ვადა და ადგილი (ფორმა);

ე) ხელშეკრულების გაფორმებისა და ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის ვადა.

2. ცენტრი წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ინფორმაციას ასახავს აპლიკანტთა სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსებს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, აპლიკანტის შეფასების თარიღის დადგომამდე

არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.

3. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს დადგენილ ვადაში დარეგისტრირებულ აპლიკანტთა შეფასებას. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით.
4. საბაზო და საშუალო (მათ შორის საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები), აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება ბსუ-ს რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით, რომელიც არეგულირებს:
   ა) შერჩევის ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;
   ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმებს;
   გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;
   დ) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;
   ე) აპელაციის წესსა და ვადებს;
   ვ) საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;
   ზ) სხვა პირობებს (თუკი განისაზღვრება ცენტრის წარდგინებით).
5. აპლიკანტთა შეფასება უნდა იყოს დიფერენცირებული და შერჩევის ეტაპის დაწყებამდე ცენტრის წარდგინებითა და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
6. აპლიკანტთა შესარჩევი, ასევე შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში - სააპელაციო კომისიების შემადგენლობაში, ცენტრის წარდგინებით გამოცემული რექტორის ბრძანებით გაითვალისწინება პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების (პრაქტიკის ობიექტების ან/და მემორანდუმის მეორე მხარეთა პერსონალი) მონაწილეობა.
7. ცენტრი აპლიკანტთა შერჩევის პერიოდში სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.
8. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9. აპლიკანტები ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე ჩაირიცხებიან პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.
10. აპლიკანტთა ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის მიზნით ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება:
    ა) აპლიკანტის მიერ ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი;
    ბ) დოკუმენტების წარდგენის ფორმა;

გ) დოკუმენტების წარდგენის ვადები;
დ) ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძვლები;
ე) ხელშეკრულების გაფორმების პირობები და ვადები;
ვ) სხვა საკითხები (თუკი განისაზღვრება ცენტრის წარდგინებით).

11. ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსს პირი მოიპოვებს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ შესაბამისად, მინისტრის მიერ დადგენილ ვადებში გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.
12. აღნიშნული ბრძანება მზადდება შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების შედეგად (ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს, ხოლო მეორე -ინახება ბსუ-ში, პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში).
13. ბსუ-ს შესაბამის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.“.

2. ბრძანება, ასევე წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მომზადებული კოდიფიცირებული წესი (მომზადდეს იურიდიული დეპარტამენტის მიერ), განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (საუნივერსიტეტო ნორმატიულ აქტებში და ცენტრის ველში).
3. დაევალოს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს წინამდებარე ბრძანების გამოცემის შესახებ წერილობითი ინფორმაციის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისათვის გასაგზავნად მომზადება, რათა შესრულდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესის და პირობების“ 28-ე მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნა (2021 წლის 12 ივლისამდე - აპლიკანტთა რეგისტრაციის დაწყებამდე მინისტრის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მოთხოვნებთან საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისობის უზრუნველყოფა და აღნიშნული ინფორმაციის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისათვის გაგზავნა).
4. მომზადება და წარმოდგენა.
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, სასწავლო

პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

**რექტორი, ასოცირებული პროფესორი** **მერაბ ხალვაში**